

ინსტრუქციის პროექტი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ თანამშრომელთა და სხვა პირთა მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობებში შესვლის წესის შესახებ

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში – მაუწყებელი) ადმინისტრაციულ შენობებში დასაქმებულთა (შემდგომში „თანამშრომელთა“) და სხვა პირთა შესვლის წესს.

შენობაში თანამშრომელთა შესვლის წესი

მუხლი 2.

მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობებში (შემდგომში- შენობა) თანამშრომელთა შესვლა და გამოსვლა განხორციელდეს ძირითადი ან დამხმარე შესასვლელებიდან, საკონტროლო-აპარატზე რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 3.

საკონტროლო აპარატზე დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზის ან/და აპარატის გაუმართაობის შემთხვევაში, თანამშრომელის შენობაში შემოსვლის ან/და გასვლის დროის დაფიქსირება ხდება **დაცვის თანამშრომლის** მიერ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ჟურნალში.

მუხლი 4.

რეგისტრაციის გარეშე თანამშრომლის შენობაში შესვლა და შენობის დატოვება ჩაითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობად (სამსახურში გამოუცხადებლობად) და მის მიმართ გატარდება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომა.

მუხლი 5.

სამსახურში გამოცხადების ზოგად წესი (დრო, სამუშაო დროის ხანგრძლივობა) განისაზღვრება მაუწყებლის შრომის შინაგანაწესით. სამსახურში გამოცხადების შინაგანაწესისგან განსხვავებული წესი განისაზღვრება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

შენობაში სხვა პირთა შესვლის წესი

მუხლი 6.

შენობაში სხვა პირთა შესვლა მოხდეს მხოლოდ ძირითადი შესასვლელებიდან მაუწყებლის პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 7.

პირი, რომელიც დაშვების საფუძველზე შედის მაუწყებლის შენობაში, ვალდებულია დაცვის სამსახურს ჩააბაროს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და გაიაროს რეგისტრაცია.

მუხლი 8.

შენობაში დაშვების საფუძველზე შესული პირების გადაადგილებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაშვების გამცემ პირს.

მუხლი 9.

მაუწყებელში შესვლისას პირებს ეკრძალებათ:

ა) წინასწარი ნებართვის გარეშე ობიექტზე შეიტანონ კინო და ფოტოგადამღები, აუდიო და ვიდეოჩამწერი, რადიოსაშუალებები, პირგადასაღები-გასამრავლებელი აპარატურა ან ინფორმაციის შემკრები სხვა მოწყობილობა.

ბ) შენობაში გადაადგილება მაუწყებლის თანამშრომლის თანხლების გარეშე.

მუხლი 10.

შენობაში მოწვეული სტუმრების, სამთავრობო ან საერთაშორისო დელეგაციების წარმომადგენელთა მიმოსვლის მოსაწესრიგებლად:

ა) მოწვეული სტუმრების, დელეგაციის წარმომადგენელთა ობიექტზე შესვლა განხორციელდეს წინასწარ შეთანხმებული სიების მიხედვით;

ბ) მოწვეული სტუმრების, დელეგაციის წარმომადგენელთა დახვედრა და ობიექტზე ყოფნის დროს მათი თანხლება უნდა უზრუნველყოს დელეგაციის მიმღებმა შესაბამისმა სამსახურმა/პირმა.